ნესტან სულავა
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხარების თემა ქართულ ჰიმნოგრაფიაში

ქრისტიანულ ხელოვნებაში ხარების დღესასწაულის ასახვა ამაღლებულობითა და ნათელმოსილებით გამოირჩევა. ქრისტიანულ ტაძარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხარების კომპოზიციის ფრესკულ გამოსახულებას, ხატებზეც შთამბეჭდავად და განსაკუთრებული სხივმოსილებითაა იგი წარმოდგენილი. ჰიმნოგრაფიაში, რომელიც ღრმა კავშირშია ფერწერასთან თემატიკური თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ხარებას. მისი საფუძველია ახალი აღთქმა; კერძოდ, წმ. ლუკას სახარება მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა გამორჩეული ხვედრი ხვდა წილად დედათა შორის ქალწულსა და ქალწულთა შორის დედას: „და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მომადლებულო! უფალო შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“... (ლ. 1, 28-38).

ხარების თემას ეძღვნება ბორენა დედოფლის, დემეტრე მეფისა და არსენ ბულმაისიმისძის ღრმა ლირიზმით აღსავსე თითოსტროფიანი იამბიკოები.

ბორენა დედოფლის იამბიკო ლენჯერის ეკლესიის კუთვნილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ზურგზეა წარწერილი. ხატი ამჟამად მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ბორენას ავტორობას იამბიკოს მეხუთე ტაეპი გვამცნობს: „ქალწულო, მიჯსენ ბორენა ჭირმრავალი“.

მიუხედავად იმისა, რომ ბორენა დედოფლის იამბიკო მხოლოდ ღვთისმშობლის ხატის ზურგზე შესრულებული წარწერითაა ცნობილი, მეცნიერთა მიერ იგი სხვადასხვაგვარად იქნა წაკითხული და ამრიგად გაჩნდა ორი ვარიანტი: 1. კ. კეკელიძისეული, რომელ-

იც იამბიკოს მეორე-მესამე ტაეპებს ასე კითხულობდა: „ჰრქვი რა გაბრიელს: „ვარ უფლისა მკევალი, /მე, შენი სამსტუვრე, ქვეყნად მავალი“, ამ ვარიანტის მიხედვით, მესამე ტაეპის სიტყვებიც ღვთისმშობლის წარმოთქმული უნდა ყოფილიყო. მან „სამსტუვრე“ განმარტა გოდლად, სადარაჯოდ (ქლი, I, 1960, გვ. 593). 2. ჰ. ინგოროყვამ ტექსტის განსხვავებული წაკითხვა შემოგვთავაზა, რომელიც შემდგომში, ს. ცაიშვილის თხოვნით, სპეციალურად შეამოწმა ისტორიკოსმა-პალეოლოგმა ვ. სილოგავამ და დაადასტურა ჰ. ინგოროყვას წაკითხვის მართებულობა (ქართ. პოეზია, I, 1979, გვ. 319). ვ. სილოგავა საგანგებოდ შეეხო ბორენას „წარწერა-ლექსის“ პრობლემას და იამბიკოს მართებული წაკითხვა წარმოადგინა („ლიტ. საქართველო“, 1999, N 3).

„რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქუი რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა მკევალი“,
მაშინ ისტუმრე ქვეყნად მოუვალი,
დაემხო ძალი, პირველივე სისხლდამთრვალი.
ქალწულო, მიკსენ ბორენა ჭირმრავალი“.

ვფიქრობთ, მეორე ვარიანტის მართებულობას ლუკას სახარების შემდეგი მუხლი ადასტურებს: „ჰრქუა მას მარიამ: აჰა მკევალი უფლისაჲ: მეყავნ მე სიტყუსაებრ შენისა!“ (ლ. 1,38). ბორენას იამბიკოს წყარო ევანგელური სწავლებაა. ყოვლაწმინდა ღვთისმშობელი საოცარი სისადავით გამოხატავს შეკავებულ სიხარულს ღვთისაგან გამორჩეულობის გამო და მორჩილებას ღვთის წინაშე. იამბიკოში გამოხატული აზრი და მოტივი სახარებისეულია: არც მეტყველებით სცილდება იგი სახარებას, საიდანაც არ ჩანს, რომ ღვთისმშობელი სამსტუვრე იყოს, იგი, ევანგელური თხრობის კვალობაზე, ღვთის ნების აღმსრულებელია.

იამბიკოში საკრალური დრო და სივრცეა ასახული. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზმა ღვთის ნება ახარა, რომ მარიამმა (ე.ი. ზეპურმა დედამ) უნდა შვას ძე და სახელად უწოდოს იესუ: „ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თჳსისაჲ, და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ, და სუფევისა მისისაჲ არა იყოს დასასრულ“ (ლ. 1,32-33). ეს ხდება ნაზარეთში, რომლის

მიხედვითაც ეწოდა იესოს ნაზარეველი. ნაზარეთი ის წმინდა ადგილია, სადაც განხორციელდა ღვთის ნება.

იამბიკო მაღალი პოეტური ფორმითა და დახვეწილი რითმით შესრულებული მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც ავტორი უშუალობითა და გულწრფელობით ცდილობს ქალწულ ღვთისმშობელთან სულიერი კონტაქტის დამყარებას. იგი ღვთისმშობელს მიმართავს მიმართებითი ნაცვალსახელით, „რომელმან" – „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი" – რაც სასულიერო პოეზიაში დიდი ხნის დამკვიდრებული ფორმაა, „რომელმან" მრავალმნიშვნელობიანი განსაზღვრებაა, რადგან იგი გამოიყენება ღმერთის, მისი ჰიპოსტასების, ღვთისმშობლის, წმინდანების გამოსახატავად. ტაეპი ღრმააზროვანია და მისი შინაარსი გულისხმობს ევას ცთომისათვის ქალწული ღვთისმშობლის მიერ უზენაესი, ღვთაებრივი სიწმინდის დაპირისპირებას. ევამ ცოდვის ჩადენას დაუდო დასაბამი, ცოდვა დაჰბადა, ხოლო ღვთისმშობელმა გამოისყიდა პირველცოდვის ჩამდენის „ვალი", ვინაიდან მან კაცობრიობის ცოდვათა „აღმხუმელი", მტვირთველი დაჰბადა. ევას პირველცოდვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა წარხოცა, განწმინდა. ბორენას იამბიკოს გასდევს „ვალის", ანუ ცოდვათა გამოსყიდვის მოტივი. ამ სიტყვით ბოლოვდება ყოველი ტაეპი, იგი ორმარცვლიან რითმას ქმნის და მთელ იამბიკოს კრავს. ქრისტიანულ მწერლობაში, განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიაში, ეს მოტივი ძალზე გავრცელებულია. მხოლოდ ერთ პარალელს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" ერთ-ერთ ტროპარს დავიმოწმებთ: „ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო".

ბორენას იამბიკოში ღვთისმშობელი და ევა ურთიერთსაპირისპიროდ წარმოისახებიან; ავტორი ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციულ მხატვრულ ხერხს – სახეთა პარალელიზმს იყენებს და ბინარული ოპოზიციით წარმოაჩენს ღვთისმშობლისა და ევას სახეებს.

იამბიკოში ღრმა ლირიზმითა და უსაზღვრო თავმდაბლობის გამოხატვით ავტორი სულიერ კავშირს ამყარებს ღვთისმშობელთან, იგი ესაუბრება მას და ერთგვარ დიალოგს თავადაც მიმართავს ქალწულ ღვთისმშობელთან მისაახლებლად, როდესაც საოცრად კონდენსირებულ, შეკუმშულ ფრაზაში: „ჰრქუ რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა

მკევალი“ – მოაქცევს მთელ პასაჟს სახარებისას, უმნიშვნელოვანესს ქრისტიანული რელიგიისათვის, რომლითაც დაედო საფუძველი ხარების დღესასწაულს. ბორენას ღვთისმშობლის სახის დიალოგში წარმოჩენით ქალწულ დედასთან საურთიერთოდ ფარული სინაზითა და ინტიმურობით აღსავსე განწყობილება შეაქვს.

ავტორი აგრძელებს საუბარს ღვთისმშობელთან, რაც საოცრად მდიდარი მხატვრული სახეებით, ხატოვანი აზროვნებითაა გამეღავნებული. აზრობრივი მრავალფეროვნება გამოსჭვივის იამბიკოს სტრიქონში: „მაშინ ისტუმრე ქვეყნად მოუვალი“, რომელშიც ქვეყნად დაუტევნელი მაცხოვრის ღვთისმშობელში დავანების, სტუმრობის მისტიური სურათია წარმოსახული. სიწმინდის, თავმდაბლობის შედეგიც ნათელმოსილია, რადგან „დაემხო ძალი, პირველვე სისხლ დამთრვალი“. ლ. გრიგოლაშვილმა მიუთითა, რომ ტაეპში ამ ბოროტი ძალის დამხობაა ნაგულისხმევი, რომელიც პირველი ადამიანის აბელის სისხლით დაითრო. ბოროტების დამარცხების მოტივს მოსდევს ბორენა დედოფლის ვედრება ქალწული ღვთისმშობლისადმი, რომ „ჭირმრავალი“ ადამიანი იხსნას და ღირსყოს თავისი მფარველობისა, მეოხებისა.

ბორენას იამბიკო იშვიათი ფერადოვნებით გადმოგვცემს ხარების მისტიკური სურათით აღძრულ სინაზითა და ლირიზმით აღსავსე განწყობილებას, რომლის მიღმა თვით ავტორის – ბორენას პირადი ცხოვრებისეული მომენტები იმალება.

ხარების თემას ეძღვნება დემეტრე მეფის ერთ-ერთი იამბიკო, რომელიც XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსს თავის შედგენილ სადღესასწაულოში შეუტანია ღმრთისმშობლისანად, ანუ „აწდას“ ტროპარად (A-386, 173r). ეს ფაქტი იმას მიუთითებს, რომ იგი საღვთისმსახურო პრაქტიკაში გამოიყენებოდა.

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი,
დედა ქალწული, შუენიერი შრომანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი:
„შენგან იშუების მეფე გჯრგჯნოსანი
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალყმოსანი“.

იამბიკოში, ფრესკათა და ხატების დარად, დახატულია ხარების ამაღლებული, სიწმინდით აღსავსე სურათი, როდესაც გაბრიელ

მთავარანგელოზმა ამცნო დედათა შორის გამორჩეულს ღვთის განგება – მისი ღვთისმშობლობა. მასში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ღვთისმშობლის სახელები – დედა ქალწული და შუენიერი შრომანი.

ყოვლადწმიდა მარიამის ღვთისმშობლობას და ქალწულ დედად ყოფნას ბიბლიური წინასწარმეტყველება გვაუწყებს: „აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ეს. 7,14). ქალწული ღვთისმშობლისაგან ძის შობის წინასწარმეტყველება ახალ აღთქმაშიც აისახა (მთ. 1, 23; ლ. 1, 31). ყოვლადწმინდა მარიამის მარადქალწულობას უდიდეს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ ღვთისმეტყველები მამები, მასში ღვთის ნების მისტიურობას ხედავენ, რომლის წვდომა ჩვეულებრივი ადამიანის გონებას არ ძალუძს, მისი შემეცნება მხოლოდ ღვთაებრივი სიბრძნით ხდება შესაძლებელი. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მარიამ ღვთისმშობელი იწოდება მარად ქალწულად, ქალწულ დედად, დედათა შორის ქალწულად და ქალწულთა შორის დედად. მისი სიწმინდე, მისი გამორჩეულობა აუცილებელი იყო ადამიანის ბუნების, ცოდვილი სულის განსაახლებლად. იამბიკოში არ არის საუბარი პირველ ცოდვაზე, ადამიანის ცოდვით დაცემაზე, მაგრამ მარიამ ღვთისმშობლის მარად ქალწულობა და დედობა არის სიმბოლო პირველცოდვისაგან განთავისუფლებისა და სულიერი განახლებისა. ღვთისმშობლის ერთადერთობა ღვთისაგან გამორჩეულობა იამბიკოში გამოხატულია მარადქალწულობისა და დედობის შეხამებით.

ღვთისმშობლის სიმბოლოდ „მშვენიერი შრომანის“ გამოყენება ეხმიანება „შენ ხარ ვენახის“ „ედემს შინა ნერგულ“ კეთილ მორჩსა და სამოთხეს აღმოსრულ სუნნელს. იამბიკოში ავტორის კანონიკურ თვალთახედვას ეხამება მისი ესთეტიზმი, შრომანის „მშვენიერად“ აღქმა და გააზრება. ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელია ყვავილთა წარმოსახვა სიმბოლური თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურია შრომანისა და ვარდის სიმბოლიკა; შრომანი და ვარდი ყოვლადწმინდა სიმბოლოებია, მათი ხსენებისას ფერთა მეტაფორული გააზრების საფუძველიც ჩნდება. ფერებისა და ყვავილების სიმბოლიკა ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ქრისტიანულ მწერლობაში შრომანი ნათელს, სიწმინდეს და

სისპეტაკეს გამოხატავს, ვარდი — ნათლის, როგორც მიზეშთა მიზეზის დასაბუთებას მაცხოვრის მიერ დაღვრილი სისხლით. ამიტომ არის წამებული ადამიანი „ვარდი ეკალთა შორის". შროშანის სიმბოლო, რომელიც ქრისტესაც აღნიშნავს და ღვთისმშობელსაც, ბიბლიური სწავლებიდან მომდინარეობს: „სიძე ეტყჳს სძალსა სულისა თჳსისათჳს: მე ·ყუავილი ველისაჲ და შროშანი ღელეთაჲ. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი ასულთა" (ქებ. 2,1-2); და „სამოსლისათჳს რაჲსა ჰზრუნავთ; განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძინდის! არა შურებინ, არცა სთავნ" (მთ. 6. 28).

წმიდა იოანე დამასკელის „საკითხავში შობისათჳს ღმრთისმშობლისა" მარიამ ღვთისმშობელი არის „შროშანი ღმრთივ აღმოცენებული", ყოველი სიწმინდით აღსავსე, რომელმაც უნდა განწმინდოს სოფელი არაწმიდებისაგან. მისი სიტყვები სოლომონისა და წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებს ეხმიანება: „გიხაროდენ, შროშანო, რომლის შობილმან შროშანნი ველისანი შემოსნა და აჩუენნა მშობელი თჳსი აღსავსედ სულნელებითა სულისა წმიდისაჲთა, რაჟამს მისგან შეიმოსა და უქუსუველი იგი და თესლისაგან მიუხებელი სამოსელი სამოსელსა მას მოლომონისსა დამფარველი თჳსითა ბრწყინვალებითა" (ძვ. მეტაფრ. კრებულები, გვ. 109); „ჰ ასულო შუენიერო და ტკბილო! შროშანო შორის ეკალთა აღმოცენებულო აზნაურისა და სამეუფოჲსა მისგან ძირისა დავითისისა" (იქვე, გვ. 111). „შროშანი ეკალთა შორის" იმავე რიგის მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული, როგორითაც „ვარდი ეკალთა შორის", რითაც შროშანის გამორჩეულობა, მისი განსხვავებაა აღნიშნული ეკალთაგან, ხენეშ მცენარეთაგან, რომელიც ძირითადად სხვა რელიგიათა და ერესთა სიმბოლური სახელიცაა. მშვენიერი შროშანის სიმბოლიკა ყოვლადწმიდა მარიამ ღვთისმშობლის ქალურ სისპეტაკეს მიუთითებს, რითაც იგი ევას დაუპირისპირდა.

სწორედ ქალწულ მარიამს „შუენიერ შროშანს", ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა, რომ ის იქნებოდა ღვთისმშობელი დედა ქალწული. ბორენა დედოფლის იამბიკოს მსგავსად, დემეტრე მეფესაც გაბრიელ მთავარანგელოზისა და მარიამ ღვთისმშობლის დიალოგით ხარების მისტიურობა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა

აქვს განსაზღვრული. დემეტრე მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო იშვიათი რითმით გამოირჩევა, მის ოთხ ტაეპში აქცენტირებულია რითმა „ოსანი“, მხოლოდ მეორე ტაეპში გვაქვს „შროშანი“. იგი ღვთისმსახურებისას ხშირად გამოყენებული „ოსანნას“ (ὡσαννά) მიგვანიშნებს, რაც ერთი მხრივ, დიდებას, მეორე მხრივ, სულიერ ხსნაზე თხოვნას შეიცავს. ამრიგად, ვლინდება რითმაში ღვთისმშობლის დიდება და მისი უმთავრესი ფუნქცია – მხსნელის მაცხოვრის შობა.

საინტერესოა, რომ XIII საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს კათოლიკოსს არსენ ბულმაისიმისძესაც 25 მარტის (ახ.სტ.– 7 აპრილის) ჰიმნოგრაფიულ მასალაში შეუტანია ხარებისადმი მიძღვნილი იამბიკო, რომელიც XVIII საუკუნეში სხვადასხვა რედაქციის სადღესასწაულოებში ევსტათი მცხეთელის ხსენების დღის ჰიმნოგრაფიულ მასალას „აწდას“ ტროპარად ანუ ღვთისმშობლისანად დაურთეს, რაც ავტორისა და იამბიკოს პოპულარობას გვიდასტურებს. იამბიკო შემდეგი შინაარსისაა:

თჳთ პირველ არსმან და ყოელისა მაარსმან
იარსა ჩემთჳს, აწ კუალად ჩემ შორის სხუა
ემრჩობლა თბესა ქალწულებრივსა ნაზარეთს.
„მარიამ, – ეტყჳს ღავრიელ, – გიხაროდენ,
უფალი ჩემი და ღმერთი შენ შორის არს“ (A-85).

იამბიკო თავისი თემატიკითა და მხატვრული მეტყველებით ეხმიანება ბორენა დედოფლისა და დემეტრე მეფის ხსენებულ იამბიკოებს, განსაკუთრებით დემეტრე მეფისას, ვინაიდან ორივეგან გაბრიელ მთავარანგელოზი ღვთისმშობელს აუწყებს ღვთის განგებას, რომ იგი რჩეულია დედათა შორის, მან შვას მაცხოვარი. არსენ ბულმაისიმისძეს იამბიკოში შეაქვს ამაღლებული სასიხარულო განწყობილება სიტყვით „გიხაროდენ!“ ბორენა დედოფლის იამბიკოში კი ღვთისმშობელი თავად მიმართავს უფლის მაცნეს, გაბრიელ მთავარანგელოზს, რომელიც ღმერთის განგებათა, საიდუმლოთა მაცნეა და რომელიც მხოლოდ მათ ეცხადება, ვინც მუდამ ღვთის სიტყვისა და საკუთარი სინდისის სარკეში იხედება. ღვთისმშობელი შეკავებული სიხარულით ამჟღავნებს თავის მზადყოფნას ღვთის განგების აღსასრულებლად: „ვარ უფლისა მჴევალი“.

ქრისტიანულ ფერწერაში გაბრიელ მთავარანგელოზი, რომლის სახელი სემანტიკურად ღვთის ძალის მნიშვნელობას მოიცავს, გამოისახება ხელში სამოთხის რტოთი, რომელიც მან ყოვლაწმიდა ღვთისმშობელს მიართვა. ზოგჯერ მარჯვენა ხელში ლამპარი უჭირავს, რომლის შიგნით წმინდა სანთელი ანთია, ხოლო მარცხენა ხელში – იასპის ქვის სარკე, რასაც აგრეთვე სიმბოლური დატვირთვა აქვს. კერძოდ, სარკე შემეცნების, ცნობიერების, ჭეშმარიტების სიმბოლოა, შუასაუკუნეების ხელოვნებაში იგი მარიამ ღვთისმშობლის მარად ქალწულობის სიმბოლოა, მაშინ ღმერთი თავის ხატებას „ირეკლავდა" თავისი ძის სახით. გაბრიელი, როგორც ღმერთის ყოვლისშემძლეობის მახარებელი და მსახური, ღვთის ნებით მონაწილეობს ადამიანთა სულიერი მომავლის განსაზღვრაში. სწორედ ამიტომ წარგზავნა ღმერთმა იგი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ქალწულ მარიამის წინაშე უდიდესი საიდუმლოს საუწყებლად, სახარებლად.

არსენ ბულმაისიმისძის იამბიკოში ხარების ადგილიცაა დასახელებული, – ნაზარეთი (შდრ.: ლ. 1,26-28), სადაც „თბესა ქალწულებრივსა" შეუერთდა თვით ღმერთი; აქ ღმერთი პირველარსი და ყოვლის მაარსია, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა თავად არსმა სამიდან ერთი არსთაგანის – სული წმიდის მეშვეობით ყოველი არსი შექმნა და ნაზარეთში ქალწულებრივი თბე ანუ სხეული უცოდველი სხეული შეიერთა. თბეს ორგვარი მნიშვნელობა აქვს საღვთისმეტყველო ლიტერატურაში. სიტყვასიტყვით იგი ცომს, საფუარს ნიშნავს (Φύραμα). მისი ძირითადი მნიშვნელობაა პირველცოდვის შედეგად მიღებული ცოდვილი სხეული, მას უპირისპირდება „დასაბამი" – პირველსახე, ცოდვადაცემამდელი სხეული. არსენ ბულმაისიმისძის იამბიკოში თბე არაა ცოდვილი, ვინაიდან იგი ქალწულებრივია, ქალწულებრივი თბე მხოლოდ ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შობს უცოდველ ძეს, რომელიც თავად იტვირთავს მთელი კაცობრიობის ცოდვას. თვით სიტყვა „ემრჩობლა" ტყუპისცალად გახდომას, გაორმაგებას ნიშნავს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქალწული ღვთისმშობლის მარადიულ სიწმინდეს, მარადიულ უცოდველობას, რაც კაცობრიობის სულიერი განახლებისა და ხსნის საწინდარია.

ხარების მისტიკური სურათი სხვა ჰიმნოგრაფიულ თხზულებებშიცაა გადმოცემული.

ბორენა დედოფლის, დემეტრე მეფისა და არსენ ბულმაისიმისძის იამბიკოები უშუალოდ ხარების სურათს ასახავენ და სიმბოლურ-მეტაფორული აზროვნებით, ლირიკული ინტონაციებით დაუვიწყარი ხატოვანებით, უსაზღვრო სიწრფელითა და სიწმინდით ღრმა მთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელსა თუ მკითხველზე. იამბიკოთა ყოველი ტაეპით, ყოველი სიტყვით შექმნილი ამაღლებული განწყობილება მათი აღმქმნელის გონებას მიმართავს ღმერთისაკენ, ღვთისმშობლისაკენ, მაცხოვრის განმაახლებელი ძალის რწმენისაკენ და უნერგავს სულიერი ხსნის იმედს.